K 77767
2

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲮᲣᲠᲡᲘᲫᲘᲡ (ᲘᲡᲐᲠᲚᲝᲕᲘ) ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ

ᲓᲐ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲐᲚᲬᲔᲠᲐ

შესრ. ივ. შდ. გვარაძისა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲑᲔᲭᲓᲘᲗ „ᲘᲓᲔᲐᲚᲘ“ (შ. დ. კოკნაძისა) ნიკოლოზის ქუჩა, № 6.
1906

ᲛᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

სუფრიძის (ისარლოგი)

გვარის ისტორიისა

და

ახალციხის ალნერა

შესრულ. ეფ. მდ. გვარჯალაძისა.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲑᲔᲭᲓᲘᲡ „ᲘᲓᲔᲐᲚᲘ“ (მ. ᲓᲐ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡᲐ) ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, №-ᲨᲘ.

1906

შენიშვნები ხურსიძის (ისრალოვის) ისტორიისა

———

ჩვენს დიდად მოღვაწე მშრომელს ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს შეუმატებია ჩვენის საქართველოს ისტორიისათვის უკეთესი თვალ-საჩინო ისტორია კიდევ, მაგრამ საშვალების უქონლობით ზოგიერთი ნაკლულოვანება შეჰპარვია უნებურად, რაც აუცილებელია საზოგადოდ ყოველი კაცისათვის. უნაკლულო და უუსრულესი მხოლოდ ერთი ღმერთია! „ქრისტიანობის გავრცელების შემდეგიდამ ქართველთ შორის მოისპო ძველი სახელები ქართველ კაცთა და დედაკაცთა“... 3 გვ.

— არ მოსპობილა ძველი სახელები არც კაცთა და არც ქალთა, პირიქით პატივისცემაშია დღესაც მის შესაფერად, კონო, კრონო, რამაზა, არმაზაზი, არსა, არისი, აბულა, აპულონი, არტემა, ოტია, კაკო, გელა, ტურა, ლომანა, ნადირა, ძაღლუა, ამრეზა, მარჯლა, რუხა, წარბა, ბერუკა, დათვა, სუქია, მახარა, თელია, დარჩია, გოგია, მამულა, თავდგირა,, საყვარელა, ნონო, კოხტა, გოდორა, გოდერა, გულო, სულია, ჯობია, ძამია, ბადო და სხვაც მრავალი სოფლების სახელები და სხვა და სხვა გვარებისა. ასრეევე ქალის სახელები: მზისანდარა, ასთანდარა, გულსუნდა, ყაყაჩო, ვარდუა, თვალშვენიერი, ლოყაწითელი, თეთრუა, ვარდიგულა, თინა, თუთა, ბანგიანი, გედო, კაკლო, ლელო, ნათელო, გუნდო, გულისა, ძუძუნა, გულგული, თამარა, დედნო, ქალამაისა, იაგუნდა, თინათინა, პირვარდი და სხვაც ამისთანა მრავალი დარჩენილი ძველის-ძველ ისტორიულ-არხეოლოგურ სახსოვარ ნაშთებთან ერთად დარჩენილი ჩვენს ცნასა და ზნეობასთან ერთად შეურყევლად! „აგარიანთა პირის დამყოფელსა

ხურციძესა პატრონსა ფარსმანისა სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან. მღვდელმთავართ მთავრობისა ხურსიძესა პატრონის მიტროპოლიტობასა სფირიდონისასა ქვნს სჲ“.

— მე რამდენჯერ წამიკითხავს ასე დაახლოვებით: „ქ. აღეშენა წმიდაი ეკკლესია სახელსა ზედა წმიდისა ივ. მახარებელისა ნებითა ღვთისათა და ბრძანებითა ყოველ ქვეყანასა სახელგანთქმულისა აგარიანთა პირის დამყოფელისა ხურციძისა პატრონისა ფარანისათა, სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან. მღვდელთ მთავართ მთავრობისა ხურციძისა პატრონის მიტროპოლიტობასა სპირიდონისასა ქკნს სჲ“. ჩემს ამოკითხულში ორი განსხვავებაა, ერთი ფარსმანისა, რომ ფარანათ იკითხება. ვნახო ფარანი ხმარებული სახელია ფარსმანისავითა თუ არა? მე მგონი მთაფრავანი ჯავახეთის მთაფარანი უნდა იყოს. წამხდარი ენით შემდგომ მთაფარავანათ დარჩენილა. მეორე განსხვავება ქრონიკონში არის ს. ჲ. ე. რაც შეეხება სიტყვებს“. ყოველს ქვეყანასა სახელ განთქმულისა აგარიანთა პირის დამყოფელისა არ ჰნიშნამს მაჰმადის სწავლა-მოძღვრების დარღვევასა მწერლობით, როგორც ჰგონია მე-22 გვერდს, არამედ ძლიერ მეომრობით მრავალგან მაჰმადიანთ დამარცხებასა, 996, რა მოკვდა ბატი ამირა აპაჰუნისა. გაილაშქრა დავით მეფე კურატპალატმან და შემოადგა მანასკერტის ძლიერ ქალაქსა, დიდხანს ებრძოლა ფიცხლად, აიღო ქალაქი, გასდევნა უცხო თესლნი და დაასახლნა (სასომხეთოში) ქართველნი და სომეხნი მცხოვრებნი თავის სამფლობელოს, როგორც სწერს მ. მიხ. ჩამჩიანი.

3. მთელის კოხაძის გვარის სახლი და ადგილები წურწყაბელის საეპისკოპოსო საბრძანებელში ყოფილა მოქცეული. — არა თუ მარტო წურწყაბილის საეპისკოპოზოში იმავე აწყვრის სამიტრაპოლიტოშიც ყოფილა გავრცელებული, რადგან მრთელი ქვაბლიანის მაზრა გურიამდის მაწყვერელ მთავარ-ეპისკოპოზის საეპარხიო იყო.

4. „ხურსიძეებს ძველად სხვა გვარიც სწოდებიათ კოხა-

ძე. ხურსიძეზედ უფრო ძველია... ქვაბლიანში კი ძველადვე სეტყვა ერთობ ხშირად სცოდნია“ 15 გვ.

— კოხი-ჯვარის მთა ფოცხოვშია ღა სოფელიც, შეიძლება იმ კოხის მთის ძირის სოფლის მებატონე ყოფილიყოს მათი წინაპარი და კოხაძე რქმეოდესთ, ხშირი სეტყვაც უფრო ფოცხოვში იცის.

5. უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ახალციხეში, ზოგიერთნი ამ გვარის წევრთ კრუხიჭამიანთაც უხმობენ. 15 გვ.

— მართალია არა ზოგიერთნი მარტო, არამედ ყველა საერთოთ კრუხიჭამიაათ უძახდნენ; მიზეზი ეს არის, როცა გარდმოსახლებულან ქ. ახალციხეს თუ მას გარეთ უბანს ივლიტას ს. საძლითგან ან არყი ციხიდგან, სადაც დამდგარან, მოახლეებს კრუხი დაუჯდენიან, შესჩვევია თრითინა და რამდენიმე კრუხები დაუხჩვია კვერცხებზედა; ამის გამო მეზობლებს კრუხიჭამია დაურქმევიათ, გაფანატიკებული მაჰმადიანებიც ხომ სანთლით ეძებდნენ ამნიარ მეტ სახელებს შესასაკუთრებლად დიდ გვარიშვილთა. მაშინვე სახელმწიფო დავთრებში შეიტანდნენ, რომ გადაევიწყებინათ ხალხისთვის მათი საპატიო წოდება, ახალ წოდებით დამცირებულ იყვნენ, რათა მომავალში აღარაფერზედ ჰქონოდათ გავლენა მთელი საზოგადოების თვალში, აღარ წამდგარიყვნენ არსად არც დიდკაცობასთან და არცარა სამართალში. მართლა ყველგან კრუხიჭამიათად იწერებიან [1]) თუ საეკკლესიო დავთრებში და თუ სამოქალაქოში! ახალციხე 12 უბნათ იყო განაწილებული ციხის გარეთ, ამათში მარტო 3 უბანი კათოლიკეთ გვარის კაცებით იყო დასახლებული; ნურალიანთ უბანი, სადაც ახლა ქართველები არიან, ზემოთ წმ. ჯვრის ეკკლესიასთან, კრუხიჭამიანთ უბანი პატრებიანთ ეკკლესიასთან. ერთიც ხაჩაფარალი უბანი, ე. ი. ჯვრის მსახურთა, სომხებია წ. სტეფანეს ეკკლესიის მხარეს, დანარჩენი, ქაშიბის უბანი, ღელის უბანი.

---

[1]) ზოგჯერ კრუხათაც უწოდებენ პატივისცემისთვის წერილებში.

ჯირით მეიდნის უბანი, გუმბათის უბანი ხიდთან, ზემო უბანი და სამიც ეკკლესია, პირველში ქრისტიანენი მდგარან ჯ მერმე გამოუდევნიან ქრისტიანენი და მაჰმადიანებს დარჩენიან. უნდა ვთქვათ, თუ რათ უცვლიდნენ ქრისტიანებს ძველ გვარების სახელწოდებასა, უიმისოთაც ხომ მათი სიგელები და წერილები ჩამორთმეული ჰქონდათ წინათვე ჯ აღარ აუფლებდნენ მათ მამულდედულზედა? [1]) მართალია, მაგრამ ზოგიერთი საკუთრებანი შერჩენოდათ სოფლებში, როგორც ბაღჩა, წისქვილი, ყანა, ჭალა და მისთვის ყასრიათები მიეცათ მფლობელობისა პირველანდულის სახელწოდებითა, უფლობდენ და სარგებლობდენ იმ პირველი სახელწოდების სიმართლითა და როცა სახელი შეეცვლებოდათ, ჰკარგამდნენ მაშინ ყოველ უფლებასა. მაგალითად, ისარლოებს რაც მამულ-დედული და საკუთრებანი ჰქონიათ, პირველ სახელწოდებით უსარგებლიათ და როცა წოდება გამოსცვლიათ, მოსპობიათ უფლებაცა. ასეთს მაგალითს ჩვენს ჩამომავლობაში ვხედამ, როცა აწყვრითგან აუყრიან ქრისტიანენი, ჩვენი განყოფობა ერთი ახალციხეს მოსულა,მეორე ხიზაბავრას ასულა ჩვენ მამულში; აწყვერსა ყოფნისავე, რომ არ გამაჰმადიანებულან, ყოველი უფლებაები ჩამოუცლიათ და მხოლოდ ბაღჩა, წისქვილები და ყანა-ჭალის ზოგიერთი უფლებაები რომ დაუტოებიათ, ყასრიათები მიუციათ ზოზოშვილების წოდებითა, ჩვენი წინაპარის ზაზა თუ ზოზია გვარამიძის სახელობითა. ეს ყასრიათები რჩებათ ჩვენს განაყოფს ხიზაბავრას, სარგებლობს ერო ხანს ამ ყასრიათებით; ის ერთი მოსახლე თავის შვიდი ვაჟისა შვილებითა მრავლდებიან, რა ერთად ველარ თავსდებიან, იყრებიან და სულ ცალ-ცალკე გადიან, მაშინ უსპობენ მათ ძველ წოდებას და სწერენ თავიანთ სახელით, როგორც ახალ მოსახლეთა: 1,

---

[1]) ახალციხის კეთილშობილთ ჩამორთმეული სიგელები ანატოლის ქ. ქოთაიის საწიგნე არხივში შენახულია, აღრე სტამბოლად ჰწოდებულ.

ზურაბაშვილათ, 2, გელაშვილათ, 3, დათაშვილათ, 4, მამუკაშვილად, 5, მექოშვილად, 6, გორელიშვილად, რომ ერთ ხანს გოს თავის ნათესაობაში გვარამაძებთან ყოფილა; და 7, ლეკოშვილათ, რომ ლეკებს ტყეთ წაუყვანიათ, გამოჰქცევია ლეკეთთაგან. ეს ხსენებული 7 ძმების სადგომი დარბაზი ჯერაც ისევ მრთელია, სადაც შობილან და უცხოვრიათ ერთად, ზოზოთეულ დარბაზს უძახიან დღესაც. აქ ხიზაბავრას კოშკიც გვქონია, მის ადგილას ახლა ეკლესიაა აღშენებული, ასრევე ყანებს, ვენახს ზოზოთეულათ ასახელებენ, იმათაც ასეთი სახელების გამოცვლით გამოსცლიან ხელითგან ყოველი უფლებები სხვა და სხვა სოფლებში ქონებული!

6. „ვახუშტის თქმით ძველ საქართველოს მთავრებს და მოხელეებს თავიანთ თანამდებობის სახელი XII საუკ. ზოგს გვარათაც ეწოდათ, მაგალითებრ, როგორც სამეგრელოს დადიან მთავარს რომელიც კარითგან კარს დადიოდა და ამიტომ გვარათაც დადიანი ეწოდაო“ 13 გვ.

— არა ბატონო, დადიანთ წოდება პარსების მეფეების დიდებულ კარის კაცების ერთრიგი მაღალი წოდება არის, მათგანვე საკუთრად მიცემული; მგონი მე-V საუკუნოებაში, გობაძის მეფობის დროს, რომელიც თამარის დროს უფრო პატივდებაში გამოქვეყნევდა; ამიტომ სომხებიც არიან დადიანები კოსტანდინეპოლს!

7. „გაბრიელ წინამძღვარი ძე შოთა ყოფილის შიო ხურსიძისა. ამ გაბრიელ წინამძღვარის სახელს მოიხსენიებს როგორც ზარზმის ეკკლესიის სამრეკლოს წარწერა: „24 — გაბრიელ წინამძღვარი ძე შოთა ყოფილის შიო ხურსიძისა, დაწერილია მხოლოდ ზარზმის ეკკლესიასთან და არა თუ ზარზმის ეკკლესიის სამრეკლოს ზედა.

8. „თუმც დიდი უძლურება უნდა ყოფილიყოს ამათ კარზედ მისული (ოსმალთაგან), მაგრამ მათგვარში მაინც თითოოროლა ხელოვანნი მხედარნი და მწიგნობართ-მწიგნობარ მღვდელთ მთავარნი თვით VXIII საუკუნის გასვლამდისაც კი

არ გამოლეულან, როგორც ხურსიძეების კათოლიკის სარწ-
მუნოების დაკავშირებამდე, ისე მერე, მას შემდეგაც, რო-
ცა იგინი კათოლიკობას დაუკავშირდნენ“ იქვე 25 — 26 გვ.

— აქ ეს მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ ხურსიძენი თა-
ვითგანვე სახელოვანი მეომარნი ყოფილან და მტკიცე თა-
ვიანთ კათოლიკე სარწმუნოებაზედ, ესენი აბასოდეს მიმხრო-
ბიან ბერძნის აღსარებასა. მთელი საქართველო თამარ დე-
დოფლამდის კათოლიკეთ იყვნენ რომის წ- პეტრეს ეკკლე-
სიის მორჩილად, თამარ დედოფლის მეორე უწესო ქორწი-
ნების მიზეზით შეირყა კათოლიკობა საქართველოში ჭყონ-
დიდელი ანტონ გნოლის ძის მაცდურობითა წინააღმდეგ მი-
ქაელ კათოლიკოზის მსჯავრისა, რაზედაც ბოლოს თამარ დე-
დოფალი ცხვირში იცემდა [1]), სამეცხეთოში კი ერთიან არ
მოსპობილა კათოლიკობა აწყურს, ახალციხეს, ოცხეს, ვა-
ლეს, არალს, უდეს, ბოლაჟურს შეურყევლად დარჩენილია
დღემდის. ასრე ჯავახეთს, ართვინს, არტანუჯს და შავშეთში,
რომელთაც ღვთის მადლი დარჩენიათ, რომელთაც არა გა-
მაჰმადიანებულან მართლ მადიდებლობაში თავიანთ სასულიერო
პირთ ყურადღების მიუქცევლობითა“.

9. „აღშენდა ესე წ- ეკკლესია სახელსა ზედა წმიდისა
ივ. მახარებელისა ნებითა ღვთისათა და ბრძანებითა ყოვლი-
სა ქვეყანასა სახელ განთქმულისა აგარიანთა პირის დამყო-
ფილისა ხურციძისა პატრონისა ფასნისაითა (ფარსმანი), სულ-
სა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან. მღვდელთ მთა-
ვართ მთავრობასა ხურციძისა პატრონისა მიტროპოლიტის
სპირიდონისა ქკნს. სჯე. უკვირს ერთიცა და მეორეცა. ჩვენს
ისტორიაში ძლიერ 20 გვ. მცირეთ არიან ცნობილნი, ამათ
არც საქართველოს საეკკლესიო ისტორიაში აქვსთ დათმო-
ბილი ადგილები და არც ქართლის ცხოვრებაში“ იქვე.

[1]) იხილე ქართლის ცხოვრების 1 ტომის 336 გვ. 311 ან „მოგზაური“
1902 წ. მარტის № 3, 167 — 168 გვ.

— მე წამიკითხია ძველ დაბეჭდილს ნარკვევში ქართლის ცხოვრებისა, „ქართველთ შურითა გამოაკლეს სამცხეთოს ისტორია და არ აღწერეს ქართლის ისტორიაშიო“! ქართლის ისტორიაში, რომ არ აღწერილა, არც საეკლესიო ისტორიაში შეუტანიათ, მათთან ერთად სმადის ეკლესიების წარწერაც თუ არ არის შეტანილი, ცხადია რომ კარგახანს ეს კუთხე კათოლიკეთ დარჩენილა. აღარ მიმხრობია ქართველთ-ბერძნების აღიარებაში და მისთვის მოსძულებიათ და თვალითგან გამოუგდიათ ეს მხარე. აი ასე სწერია ერთს ეკლესიაზედა კამარედად: „ამ ეკლესიის აღმაშენებელს ერისთავთ ერისთავის შაბურის ძეს მაწყვრელ მთავარ ეპისკოპოსს შიოს და მშრომელთა მისთა შეუნდოს ღმერთმან, ქკნს. რმგ. ზეითგინ ასე აწერია: „წმიდაო ღმერთო შეუნდე სულსა შენისასა“. ამავ სმადის მეორე ეკლესიაზედ.

ესეც კამარედად: „სახელითა ღვთისათა აღეშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ იოანე მაწყვერელ ეპისკოპოზისა ხელითა კიესისა ხეობასა, ქრისტე განუსვენე სულსა მშობელთა მისთა“. ამას ქორონიკონი არა აქვს.

ამათ კათოლიკობას ამტკიცებს რკონის სიგელი დაწერილი, 1259 წელს, როცა სწყევლის სიგელის შემშლელთ ამბობს: მოციქულთა ჯვარითა, შვიდთა კრებათა ჯვარითა [1]) და ხუთთა პატრიარქთა ჯვარითა და მადლითაო. მათ შორის რომის პაპიც იგულისხმებაო, 2 წიგ. 140 — 141 გვერდი ქრონიკ. თ. ჟორდანიასი. ამასვე ამტკიცებს თამარაშვილის ისტორია: სწერს, რომ არცერთ სოფლებში პატრები არ ყოფილან მისონერად, გარდა ველის სოფლისაო. უდე, არალი, ბოლაჟური და ოცხეც ხომ კათოლიკებით გაშენებული ყოფილა უწყვეტლივ, ამ ქვაბლიანის მაზრაში.

დაგვრჩა ჩვენ ახსნა ხურსიძის მნიშვნელობისა, ესე ხურსი კოხაძე უნდა იყოს, რომლის ჩინებულობით მის ჩამომავალთ

[1]) ამ VII კრებაში განიკვეთა ფოტ პატრიარხი და შერვენებულ იქმნა.

ხურსიძე სწოდებიათ. ხურსი არაბულათ ლხინ-სიხარულია, ან მამლხენ მამხიარულებელი მეფისა, ან მთავრებისა წვეულობით თუ ნადიმითა უნდა ყოფილიყო ან სამეფო სასახლის გამგე მმართველი. თუ ყურსი ვთქვათ, ნიშნავს მაგარ მკვრივ რამეს მაჰანგსა. ან მეტალის ზოდსა, ან 400 სიკლის წონას, 18 გირვანქას და 22 მისხალს, ესეც არაბული ლექსია დავით მეფე კურატპალატის მჭრელნი ყოფილან თუ ფულის მჭრელთ მეთაურნი გამგე გამრიგებელნი და მასთან ომ ბრძოლის კარგად მცოდნე დახელოვნებულნი, რისთვისაც ფოცხევის და ქვაბლიანის ციხე-კოშკნი მათზედ მინდობილი ყოფილან, ფოცხოვში მერის ციხე და ქვაბლიანში ალთუნაყია (ლადოსციხე), ხომ ვნახეთ ქვაბლიანში რაც უღვაწიათ. ფოცხოვშიც სახელოვნებენ, როგორც სწერს ვახუშტი ეპისკოპოზების ეპარხიებს თვითოეულათ: „წურწყაბლის სამსწყსო ხურსიძის სახლი სულ ბოცოსხევი, ხერთვის ქვემოდ სულ მისია“! აგერ ამ ნაწილში შედის რუსთავი, ლობიეთი. საძელი და არყის ტყე, ხურსიძეების ყოფილი, მიდამ საკუთრებითურთ. მაშ რუსთაველი შოთას ხურსიძეობა აღარ უნდა გაგვიკვირდეს, როზარზმის ეკკლესიაზედ წარწერია თავის ცოლშვილიანად. ვახუშტი მცხეთის ეკლესიის შეწირულობაზედ, რომ სწერს სამცხეთოს თავადებისა, სხვათა შორის იხსენიებს ასრე: “ერისთავს ხურსიძეს აქვს ლობიერნი (ლობეთი) სასაფლაო მონასტრითა და კარის ეკლესიითა“. ამიერიდგან ცხად სჩანს თუ რამოდნად დაწინაურებულნი უნდა ყოფილიყვნენ ხურსიძენი სამცხეთოში მეციხოვნობის გონივრულის გამგებლობითა, რომ ვიდრე ოსმალოს მთავრობაც ძალდატანებული ხდება მათ კეთილ მოღვაწეობისაგან, რომ ისევ ქრისტიანობის დროის მეციხოვნობის და ჯაბხანის გამგებლობის უფლებას აძლევს და ასახელებს ისარლი ციხეების მქონებელთ ტიტულითა!

10. „აქ ერთი საკითხი მხოლოდ ის რჩება, რომ 1580—1587 წ.წ. სჩანს ხურსიძეების წევრთ ზარზმის ტაძრის მფარველობის აღარაფერი ძალა ჰქონიათ, რომ ესენი შელევიან

ზარზმის ძვირფას ნივთებს და ნება მიუციათ გურიაში გადატანის 32 გვ. უწინდელის მისიონერების შრომას და კათოლიკობის გავრცელებას ბოლო მოელო სამცხე საათაბაგოში ოსმალების შემოსევით. ჯერ სულთან სულეიმანის ომებმა (1520 — 1566) წ. შახთამაზის წინააღმდეგ სამცხე-საათაბაგო გააოხრა და კათოლიკე ეკლესიები სულ დაანგრია. ამას თანამედროვე მგზავრი მინადოი, როდესაც ჯავახეთ ახალქალაქის ახლომახლო ადგილებს აღგვიწერს, მოგვითხრობს ასე: „აქ ბევრი სჩანს დიდი ქალაქისა და ეკლესიების ნანგრევები, რამდენიმე ეკლესია საკმაოდ შეაკეთეს კეთილმა პირებმა და მათში ასრულებენ კათოლიკე მღვდლები რომის წმიდა ტიბიკონს; ესენი არიან იმ მღვდელთაგან (მისიონერბთაგან) დანაშთნი, რომელთაც სარწმუნოების მადლით აღჭურვილთ გარდაიარეს მთანი და ზღვანი. ამ ეკლესიებს თავიანთ მოძღვრებითურთ სრულიად ბოლო მოელო მუსტაფა ფაშის ჯარის შემოსევით 1577 წ. ისტორია მოგვითხრობს, რომ იმ დროს საქართველო გაოხრებული იყო და უსჯულოები გაბატონებულიყვნენ. ოსმალეთის გაძლიერებას და გაბატონებას ხელი კარგათ შეუწყო სამცხის მთავრის ქვრივი დედის იმედის შვილის მანუჩარის გამაჰმადიანებამ. მანუჩარმან ამ საშვალებით თავისი უფროსი ძმის ალექსანდრესთვის ჩამოართმევინა ათაბაგობა და თვით დაიწყო მმართველობა... წინადაცვეთილ იქმნა მანუჩარ და ეწოდა სახელათ მუსტაფა. მიიღო ტიტული ფაშობისა და იქმნა გამგე ალთუყწლისა და იმ ყველა ადგილებისა, რომლებიც ეკუთნოდენ თავის დედას და ძმას“! იხილე თამარაშვილის პასუხი მწერლებს, 203—204 გვ. სწორეთ ამ დროს ჩამოეცალათ ალთუნყალა ისარლოებს და გაბატონდნენ ოსმალოები. მის გამო ზარზმის ტაძარი და სხვანი დაიხშნენ და მიეცა ქვეყანა დღითგან დღეზედ უფრო უარეს აკლება-აოხრებასა. იმ დღითგანვე გამოეცალნენ ისარლონი ქვაბლიანს და გარდმოვიდნენ თავიანთ მამულში არ-

ყიციხეს და საძელს, მთელ ზაფხულს სოფლებში ცხოვრობდნენ და ზამთარს ახალციხეში.

11. „ამის აღმაშენებელსა წინამძღვარსა ხურსიძესა გაბრიელსა შეუნდოს ღმერთმან, მისსა დედასა პატრონისა ივანეს ასულსა გულდა-მყოფილსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან“. მისსა მამას შოთა ყოფილსა შიოს შეუნდოს ღმერთმან: — აქ ცხადად სჩანს, რომ როგორც შოთა რუსთაველი ბერად შემდგარა და სწოდებია შიო, ისე მისი მეუღლე გულდამიც მოლოზნათ შემდგარა და სწოდებია გაიანე, ერთსა და იმავე დროს. შოთა რუსთაველის ხურსიძეობა უფრო იმითი მტკიცდება, რომ თამარ დედოფლის მეჯურჭლეთ უხუცესობა ჰქონია თანამდებობად, რაც თანასწორ ნიშნავს, როგორც ხაზინადარობას, ისე ჯაბხანობის გამგებლობას, რადგან გვარმოდგმით ეგრეთ თანამდებობაში დაწინაურებული ყოფილან ყოველთვის საქებურად.

12. „მოხევეს ძეთა, ჩახრუხას ძეთა, აქო თამარი მეფე სვიანი“.

— წამიკითხია მელქისედ კავკასიძის ხელ ნაწერი და ეს ბოლო მუხლი იქ არ ეწერა. ეს მუხლი პლატონ იოსელიანმან რომ დაბეჭდა იმის დაბეჭდილში აღმოჩნდა, რამოდენად შორს არის ხეველი კაცის მოხევეთ დაწერა, სხვის საკუთრების შეთვისებასავით. როგორც შოთას ითვისებდენ ადრე კახელები ნამდვილ შესხს, ისე მოხელ მესხს გრიგორ ჩხრუხაძეს ითვისებენ ხევველები კავკასიისა. ჩხრუხაძე მოხევეა. მოხე ქვაბლიანის თავშია, მთის ძირს, სადაც ქართულია დღესაც მათში წმიდად შენახული, ისე როგორც ზეგანში ოთველ სოფლებისა. მეჩხრეობა ერსად ერ ერის სქართველოში ისე დაწინაურებული, როგორც ფოცხეველსა და ქვაბლიანში, ჩხრუხიც ისევე ჩარხია. ნაქებია ქაჯური მოჩარხული ყველაი ჯერაც, რომ მოდგმით მისი მოხელე ეოფილან, თხზულების კიდეც მესხურ-ქართულია, მსგავსი შვთელის, რუსთველის და სარქის თმოგველისა და ხეველი სითგანდ აქმნება მოხელი კაცი. სწორეთ მის თხზულების მსგავსებამ

აქამდის მაიფვანა შეტნიერი ბროფესორი მარი, რომ ეთა რუსოვეულის ოხზულებანი ეგონა!

13. „მანუჩარ მესამე სტამბოლს წავიდა, სულთანი ნახა და საქართველოს შესახებ მოლაპარაკება გამართა. უკანასკნელ პირობა შეჰკრეს, სულთანმა ქრისტიანობით დაამტკიცა და პირობა დავსდეთ, რომ დღეის შემდგომ ქართველთ გათათრებას თავს დაანებებსო. ჩვენ მასთან ხარჯის მიცემის მეტი სხვა აღარა გვექნება რა გარდასახადიო.

ბექას გულში ბოროტება ჰქონდა, ვახშამზედ ბიძას საჭმელში საწამლავი შეაპარა და მოწამლა. „ათაბეგ მანუჩარი გათენებამდე საწამლავით გარდაიცვალა“...

— აქ შეცთომილებაა. ბექა ბიძა იყო მანუჩარისა და მანუჩარი მისი ძმისწული იყო. „არამედ იხილა (მანუჩარ) შემდგომ შემდგომითი შფოთი ესე ვითარნი და არღარა რაი სხვა ღონე შეწევნისა, ამისთვის წარვიდა სტამბოლს წინაშე ხონთქრისა... ხოლო მანუჩარ შეიწყნარა ხონთქარმან, მოსცა ქრისტიანობით ათაბაგობა და წარმოავლინა, არამედ მოგზაურს მომავალსა დახვდა ბიძა თვისი ბექა, რომელი პირველ წარსრული იყოფებოდა მუნ: ამან ბექამ ისტუმრა და კეთილად შეიტკბო მანუჩარ: გარნა განმზრახველ მან ოსმალთა მძლავრებისა მან და თვინიერ მათსა სხვისა ღონისა არღარა რისამე შემძლებელმან, შეურთო საჭმელსა მანუჩარისასა სამსალა და მოჰკლა მანუჩარი და თვით მივიდა სტამბოლს, იქმნა მაჰმადიან, მოსცა ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა და პატივი სცეს ორითა თუღითა, მერმე წამოავლინეს და მოვიდა სამცხეს. ქს. ჩქვე.“ ჩუბ. 2. 167 გვერდი.

14. „საფარ-ფაშა მალე მოვიდა თათრის ჯარით ახალციხეს და გაბატონდა 1626 წ. შემოიღო სრულიად ოსმალური ენის ხმარება“ 51 გვ.

— დიაღ რა გაიდგა ფეხი და დამტკიცდა მკვიდრ ფაშათ, გაამრავლა მაჰმადის მოქადაგენი საფარ ფაშამ, ყველგან

დილა საღამო დადიოდნენ დუქნებ-ბაზრებში, მეიდნებზედ და უბნებში ძალად თავს იხვევდნენ, ქრისტიანებს უქადაკებდნენ, აგულიანებდნენ ხან ტკბილად, ხან მწარედ და ხან დამუქრებით ნაირ-ნაირ სასჯელისა და სიკვდილისაცა, რომ გამაჰმადიანებულ იყვნენ, რითაც მრავალნი საწყალნი ხალხნი შეაცდინეს, მაგრამ უფრო უმრავლესნი მტკიცედ დარჩნენ წარწმუნოებაზედ, ყოველი მძლავრული ღონე საშვალების ხმარების შემდგომ, რომ ვერ მიიზიდეს კათოლიკენი, აჰყარეს ახალციხიდგან და ივლიტას გაჰყარეს ყველა და ეკკლესიანი სამივე სომხებს მისცეს! დატრიალდნენ კათოლიკენი ძმურად და ცოტა ხანში, 600 დუქნები გაამწკვრიეს წყრუთის წყლის შეყოლება გალმა-გამოლმა წყრუთის ხიდამდის, ურთი ერთის დახმარებით ისე გააცოცხლეს ვაჭრობა, რომ სოფლის ხალხი, აჭარლობა სულ ივლიტას მიდიოდა, რითაც ახალციხის ვაჭრობა დიდათ დაეცა. ათიოდე წელს ასრე წინ მიდოდნენ, საფარ ფაშის სიკვდილის შემდგომ უსუფ ფაშამ თხოვნით მუდარებით ისევ ახალციხეს გარდაიყვანა უმრავლესნი კათოლიკეთ ვაჭარ-ხელოსანნი, ზოგნი კი ისევ ივლიტას დარჩნენ, სომხები გამოსდევნეს ეკკლესიებითგან კათოლიკებმან და თივიანთ ეკკლესიები ისევ თვითონ დაინარჩუნეს.

15 „ამის (საფარფაშის) დროს შემოვიდა და განწესდა ბეგობა, აღობა, ალაიბეგობა, სანჯახბეგობა და მრავალნიც სხვანი". — აწყურის ქალაქის მთელი კათოლიკობა აჰყარა, ვაჭარ-ხელოსანთ ივლიტას მოჰმართეს, მებაღე მევენახეთ, მუშათ და მხნელ-მოესველთ ერთხანს დვირს შეიფარეს თავი და მერმე ს. ასპინძას მივიდნენ, შეაკეთეს ხვილიშის ეკკლესია და გააშენეს ვენახიცა, ერთხანს იცხოვრეს მშვიდობით, მერმე აღარ გაახელინეს თვალი ოსმალთ ავაზაკებმან, მეტადრე აწყვრელ ქალიმანჯა-ფენდმან თავისი ბრბოებით უწყო მალმალ ტაცვა-გლეჯვა, რომ ველარ შეიძლეს იქ დგომა ხიზაბავრას ავიდნენ ზოგნი და სხვანი გოკიას ხელოსანნი (მე ვნახე წერილი აწყვრელ აფენდისთან, ეს ქალიმანჯ აფენდი არა

მარტო ციხეებს და ეკკლესიებს აქცევდა, ყოველ ვაჭრებს მგზავრებსაც სცარცვამდა, რისგამოც საჩივარი იყო მასზედ ხვანთქართან, 1675 წ. მიცემული ახალციხელი მდიდარ მაჰმადიანებისგან თხოვდენ მოგვაშორეთო).

16. მათ (ისარლოებს) ისე ჰყავდათ დამონებულნი, რომ იგინი მათ, არამც თუ ორგულებას დასწამებდნენ რამე საქმეში, არამედ ხშირათ წყალობის ფირმანსაც აძლევდნენ კარგის სამსახურისათვის, ამის მაგალითს წარმოადგენს 1732 წ. მიცემული სულთან მაჰმადისაგან საგვარეულო წევრთა მადლობის წერილი, სადაც ხურსიძენი ოსმალეთის ერთგულად არიან მოხსენებულნი. 56 გვ.

— ეგ აგრე არის, ოსმალები ენდობოდნენ მისთანა გვარიშვილებს, რომელნიც მამაპაპით თავითგანვე მეფობის დროს დიდათ განთქმულნი იყვნენ კეთილშობილურის ყოფაქცევითა ამას ამტკიცებს ახალციხული ნასყიდობის სიგლები სახლებისა, ერთი ქკნს. ტნივ. 1678 წ. ამ სიგლის მოწამენი არიან ნაზირი ზაალ 0. ქალაქის მელიქ ავთანდილ, 0. მამასახლისი ნაზარ, 0. ნაცვალი დავით შერგილაშვილი, 0. გოზალაანთ ანჯელა, 0. ჯუღელი აღამალა, 0. მემოღნის ხუცესს ტერსიმონას დამიწერია და მოწამეც ვარ. „აგერ აქ ზაალ ნაზირი, ხაზინადრობის უფლება ჰქონია და ავთანდილსაც ქალაქის მელიქობა. მეორე სიგელი ქკნს. ტჟ3, 1710 წ. ამ სიგელის მოწამენი მელიქი გიორგი, 0. მამასახლისი ფარსადანა, 0. ნაცვალი ქაიხოსრო, 0. ზარაფი სულხანა, 0. ამირჯანათ ბეჟანბეგი, 0. გურგენათ ფარსადანა, 0. გარსოვას შვილი მურადა, 0. იავანგულანთ მელქო, 0. მელიქ შერმაზანათ ფარსადანა, 0. ფარეში ასლანა, 0. ანჯელას შვილი ბაღდასარა, 0. როსტომაშვილი ბეჟოა, 0. ასლანბეგანთ ფასოა, 0. ზენალანთ ბუჟინა, 0. გოგინას შვილი ვართანა, აგერ აქაც ასლანა ფარეშია, ფაშის პირველი მსახური, გურგენათ ფარსადანას შვილი სპარსეთის სულეიმან შახს დაუდგენია მუხრანის უფროსის ასანბეგის მაგიერ უფროსათ მუხრანისა გურ-

გენ ბეგობით ახსენებს თავის მიცემულ სიგელში და ჯამაგირათ უნიშნავს ათ თუმანსა, ჩემი მამა პავლე და ბიძა იოსები სარაიდრები ყოფილან ფაშებისა, რუსებისაგან ახალციხის აღებისა 1828 მედარბაზნეთ ციხეში ახალციხელი ჰოროველაშვილი იყო, აქ მოყვანილნი სულ კათოლიკენი არიან, ასრე იცის კეთილშობილურმან მიმნდობელობამან სისხლის მსმელ მტერთაც კი დაიმოყვრებს. ასეთივე წყალობის სიგლები ჰქონდათ ვაჭრამათ, მაქანდარათ, იეთერათ და ტასნაკიანთაცა, თათრულათ მიცემული.

17. ხურსიძეებს ისე ოსტატურათ ეჭირათ თავის საქმე, ესენი ისე განაგებდნენ და მოქმედობდენ, რომ ამათი მორიდება თვით ოსმალოებსაც ჰქონდათ, რაც შეეხება ფაშებსა და ბეგების კავშირს და პატივისცემას, და ესეც თავის ზომიერებით იყო". 55 გვ.

— თუ აგრე იყო, არ უნდა გაშორებულ იყვნენ ახალციხითგან, თავი უნდა დაედვათ ბოლომდისინ ფაშებთან ერთად ყოველ შემთხვევაში, მაგრამ ველარ შეიძლეს, სინიდისის გარედ ამტყდარმან უსამართლოებამან თავი დაავიწყა ყველას და უფრო წინმდგომ ისარლოებსა, ველარ მოისვენეს, ძილმოსვება გაუწყდათ, რომ გაამრავლეს თან და თან უფრო აკლება-აოხრება საქართველოსი ლეკებმან ⁄ მიჰყავდათ სხვადასხვა სოფლებითგან დატყვევებული დიდძალი ყმაწვილები, დიდი თუ პატარა, მათთან ქალ — სძალი, დიდი საცოდავება ტრიალდებოდა ახალციხეს ქრისტიანებში, ხედავდნენ ყოველდღივ დილა-საღამო გამოჰყავდათ მეიდნებზედ დაბაწრულნი გასასყიდათ მრავალნი ტყვენი ტანთ შეხეულ-შემოხვეულნი, თავ ღია, ფეხ შიშველა, პერანგაყმაწვილები, შიშველ-ტიტველნი, თვალ ცრემლიანნი, შიმშილ-მწყურვალებისაგან დაბჟეტილთ პირში ზეთხი უწყდებოდათ, შესტიროდენ ყველა მნახველთ ცხარის ცრემლით, ისეთის საცოდაობითა, რომ იმათაც თავიანთთან ატარებდენ არა მარტო ქრისტიანთა და მაჰმადიანთა, იმავე გულქვა უწყალო თავიანთ მტარვალ მტერთაც ჰსძრამდენ

სიბრალურზედა, მათ ერთი ფეხით წინ ჩქაროობდენ როგორმე იეფ ფასად გაყიდვასა, თავითგან მოეცილებინათ, რომ იმათ საცოდავობისთვის აღარ ეყურებინათ! ამ ნაირი საცოდავება ახალციხის კათოლიკეთ ველარ მოითმინეს. შეკრბენ წინაპირნი და მოიწადინეს სულით გულით ჯეროვანი ღონე საშვალის ხმარება, რომ ესრეთი ბარბაროსული უწყალო კაცის ჭამლობა მოსპობილიყო როგორმე, ამაზედ შეიფიცნენ, გამართეს ხშირი საჩუმარი სჯა, რჩევა-მოლაპარაკება, ასწიეს-დასწიეს მრავალ ნაირათ და ბოლო მისი ამაზედ დააფუძნეს, რომ ახალციხის ფაშა უნდა გამოეცვლევინებინათ ოსმალოს მთავრობისათვის და მის მაგიერ სხვა მშვიდობიანი ფაშა დაედგინებინათ ქვეყნის მმართველათ. ამათ მეთაურობდნენ კრუხიჭამია შვილები ეთარაშვილი, მაქანდარაშვილი და ვაჭრამაშვილი. მაწანწალა მათრევალა ლეკებს გარდა, ალაგ-ალაგ ხევობაებში ჩაეყენებინათ ცოლშვილიანი ლეკები სარწმუნო მეთვალყურეთ გარეთგან მიმსვლელ-მომსვლელთა, როგორც აბასთუმანს, ქვაბლიანს, აწყვერს და ხერთვის. ამ გვარ ლეკებში ერთი კარგი გამჭრიახი, გონიერი და კაცთმოყვარე ლეკი ერია, წამდგარი ფაშასთან და კარის კაცებთან დიდათ გავლენიანი; ამას ქრისტიანებიც უყვარდა და ბევრ საქმეებში ეწეოდა, იცვამდა და იფარებდა საკვირველად, მისთვის პატივს სცემდნენ და მიღებული იყო ყველასთან მამასავით, მხოლოდ ღვინო უყვარდა და ქრისტიანებიც არ უზოგამდნენ. შეფიცულთ ყველამ ერთპირად ამ ლეკის გაფაშავება მოინდომეს. რადგან ოსმალეთში ფულის დახარბებით ფაშობა უკვე შემოსული იყო, ათაბეგების ჩამომავალი აღარ აცლიდნენ გაფაშავებას, თვითონ ხდებოდენ ფაშებად. ეს ლეკი შეფიცულებმან მოიწვიეს ერთს ღამეს თავიანთ კრებაში, ჩამოაგდეს ბევრნაირი ლაპარაკი სულეიმან ფაშის ავკარგიანობაზედ, რომელნიც მან უმრავლესნი უფრო კარგად იცოდა და მერმე გაუმხილეს თავიანთ აზრის გარდაწყვეტილება მის გაფაშავებაზედა და სთხოვეს დათანხმება ქვეყნის სასიკეთო“! მოუწონა მათ ეგრეთი

სასიკეთო საქმე, კარგათ გიფიქრიათო, მაგრამ საჭიროა განხილვა და აწონ-დაწონა ყოველი გარემოებისა, ვნახოთ შეიძლება თუ არა ასეთს დროს. ამაზედ დროება ითხოვა და ასე დარჩა ერთხანს საქმე მიფანიერებული. მანამდის ამ ლეკმან გაიკითხა-გამოიკითხა ყოველივე სანდო პირებთან თუ სიტყვით პირათ და თუ მიწერ-მოწერით აქ სხვაგან, სტამბოლს ახალციხელ ნაცნობებთან და ყველასგან საიმედო პასუხი მიიღო რა, გაუცხადა შეთქმულთ შესაძლისობა და თავის თანხმობა, მაგრამ უთხრა: შემწეობა მინდა მე ფულით თქვენგან საკმაოდ, რომ საქმე სისრულეში მოვიდესო. ისინიც დაჰპირდნენ, ეგ ადვილი სამსახურიაო. შეჰკრიფეს თავიანთში რაც შეეძლოთ და რაც არა, ეკკლესიის ფულითგან შეუსრულეს და გზის ხარჯის გარდა ოცდა ხუთი ქესა თეთრი მისცეს და გააგზავნეს სტამბოლს. ეს კაცი მოკლე ხანში მივიდ-მოვიდა გავლენიან კარის კაცებთან და გააწყო საქმე მარჯვედ. სტამბოლიდგან 25 ქესა თეთრი კიდევ მოხთხოვა, რომ ფაშობის მფარვანი გამოვიტანოვო. ახალციხელებმან ის 25 ქესა თეთრიც კიდევ გაუგზავნეს ახალციხითგან და მართლა აიღო ახალციხის ფაშობის ფარმანი, შეიტყეს რა ნაცნობებმან გაეხარდათ, ყველანი ულოცავდნენ ფაშობას. დღისით რომ ვერ ხმაროობდა ღვინოს-ღამღამე სვამდა ვიდრე მარჯვე დროს ნახემდა წამოსასვლელად. ეს მისი ღვინის სმა ჩაასმინა ვიცლამ მტრობით ვეზირსა, ეგ ახალციხეს გასცემს ერეკლე მეფესო, ვეზირმა ჭკუა გასაჭრელად დაინახა, ჩაიცვა სათავდილო ტანისამოსი ღამე და მოიარა სასტუმროები თითო თვითოდ. შევიდა რა ლეკის ფაშის სასტუმროში, დაელაპარაკა თუ. არ ლეკი ფაშას, მაშინვე შენიშნა ნასვამობა. ეს მოახსენა ვეზირმან ხელმწიფეს და ხელმწიფესაც შეეფიქრა ვაი თუ მართლა მიღალატოსო და აბასტუმნის (აბათუბნის) მაზრა მისცეს საფაშაო სამჯნოდ სიკვდილამდის. ეს ლეკის ფაშა იყო რომ მღ. ფრანჩისკეს არ უშვებდა ახალციხეს რომ აბათუმნის ქრისტიანენი

უმღვდლოთ დარჩებიანო [1])! ლეკის ფაშის გამცემელმან მალე აცნობა ახალციხის სულეიმან ფაშას ლეკი ფაშის ყოველი გარემოება, ფაშა მეტად გაუწყრა ახალციხელ კათოლიკებსა და გაიგო ყოველი ყოფილი, „ცხენს ვერა უყვეს რა და სცეს უნაგირსაო“! ახალციხელებს რომ ვერ შეეხო ქრისტიანთ დაბებს დაუწყო რქენა, ასტეხა ლეკები რა მიესივნენ ბარალეთს, ააკლებინა იქავრობა, სხვა წყება მიუსია დ. გოკიას სადაც 7 ეკკლესია იყო, იქ ბაბუნაშვილის ქორწილი ჰქონდა დიდი წილი გოკიელები ქორწილში ლხინობდნენ. შეესივნენ მექორწილეთ უწყეს უწყალო ჟლეტა, რაც მოხვდათ ხელში ქალი, სძალი, ყმაწვილი ტყვეთ წაიყვანეს, მისცეს დაბას ცეცხლი და ერთიან გარდასწვეს. აქეთ ოცხესაც ერთმან ფაშის დაახლოებულმან ურიების ხახამმან აღღგომა დღეს მიასია წინაწინ განზრახულებით ოცხის კათოლიკეთა ეკკლესიაზედ გავუთენებლივ ღამიან, რა ეკკლესია შემოევლოთ გარედგან მღვდელსა, ერსა და შევიდნენ ეკკლეშიაში წირვის მოსასმენათ, დაესხნენ თავს ლეკები, მოასწრეს შეიკეტეს ეკკლესიის კარი თურმე, სანამ ლეკები კარს გასტეხდნენ. ეკკლესიის დარნითგან მიწის ქვეშ ერი, მღვდელი თავიანთ სახლებში გალაგდნენ და გამაგრდნენ. მერმე შევიდნენ ლეკები და ცარიელი დახვდათ ის ეკკლესია. მობრუდნენ, ის ხახამი მოჰკლეს და ურიების ქალი, სძალი წაასხეს ტყვეთა. (კარლო მღებაროვის მამა იოანე მოხუცი მღებარი იტყოდა რომ იმ დროს დედა ჩემი 3. თთვის სძალი ყოფილაო. მისთვის ოცხელმა კათოლიკებმან დასტოვეს ოცხე და აბასტუმანში შეიფარეს თავი, ერთ ხანს ახალციხის აღებამდის რუსებისგან. ახლა ის ოცხის ეკკლესია კათოლიკების რუსის ყაზახებს აქვთ). ერთ ზამთარს დარჩა ლეკი ფაშა სტამბოლს, ნააღდგომევს მოვიდა ნუგეშისცა აყრილ დაყრილ კათოლიკებსა და შეაშველა მაჰმადიანებ ძმურად სახლკარის გაშენებაში სავაჭრო დუქნებს სახელოსნო-

---

[1]) თამარაშვილის ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 457. გვერდი.

ებში, რითაც საბრალო—სოფელი გარდიქმნა შვენიერ დაბათ, ოცხის მაგიერ [1])!

ძველი ხალხური ნათქვამი

ბარალეთს ადუაშვილისა სუფრა გაეგდო გრძელია.
ლეკები ჩამოუცვინდნენ, კარზედ დაუპეს ცხენია.
ცხვარი, ძროხა სულ წაუსხეს, ცოლშვილის წაგვრა ჰრცხვენია
ადე ვაჟო გაიხედეთ, ჩვენი აქ დგომა ძნელია.
თუ აგვაოხრეს ერთიან. მოგწყდება ზურგი წელია.
თუ არა და თავს უშველოთ, გვიფარამს სახლკარ ძელია.
შევმაგრდეთ და დაუშინოთ ტყვია-წამალი ბევრია.
გათენებამდის ვისროლოთ, ცას მიადგება გენია.

ხ ა ლ ხ უ რ ი

გოგიას ცეცხლი ეკიდვის შიგ მოიხალა ქერია.
ლეკები ეცნენ აწყვიტეს, ძლივ მორჩნენ თითო ღერია.
ვაჟკაცები დაიჭირეს სრულ ცხვრულებ დასჭრეს ყელია
ქალ-სძალნი ყრმანი წაასხეს, სულ გულით სანატრელია.
გაჰქონდა ტირილ-ზრიალი, ფაშისგან დაყიდულია.
ხურნაჯის ქალი მიყავდათ, შვენიერ საქებურია.
ვერ გაძღა სიყვარულითა საბრალო უბედურია.

ახალციხეს 24 მაზრა ჰქონდა, სივრცით ათი დღის სავალიო. ოსმალურად. ა), აწყვერი. ბ) თრიალეთი. გ) ჯავახეთი. დ). ხერთვისი. ე) აბათუბანი, წამხდარი ენით აბასთუმანი, ვ). ფოცხევი. ზ). არტანი. ც). ჩილდირი. თ) კოლა, ი) არტანუჯი ია) ფანაგი. იბ). ნარიმანი. იგ) ოლთისი (ორმთისი). იგ). ართვინის იე) სინგოთი. ივ). თავოსკარი. იე. კისკიმი. იზ). პარხალი. ით) შავთეთი. კ). ფერდაგრაკი. კა.) მაჭიხელი. კბ). იმერხევი. კგ). ქვედა და ზედა აჭარა. კდ). თორთომ თუ სპერი.

[1]) ამავ წელს 1769, 11. მკათ. პავლე ეპისკოპოზი ჩვენი მღვდლებით ეჩმიაწენში დაატყვევეს, ეკლესიები დაუბეჭდეს და ახალციხელი კათოლიკეები ტყვეთ ჩაყარეს ციხეში.

ახალციხეს რომ ლეკი ფაშას დარჩენოდა, უთუოდ მეფე ერეკლეს მისცემდა ახალციხეს, როგორც პირობა ჰქონდათ ახალციხის შეფიცულთა, და ეს ხსენებული 24 მაზრა ერთიან საქართველოს შეუერთდებოდა, ტყვეობა, ტაცვა და გლეჯაც მოისპებოდა, დამშვდებოდა ქვეყანა! 18. ასპინძის ომში მეფე ერეკლეს მესხეთის და ჯავახეთის ქართველ კათოლიკენი დიდათ ეხმარებოდნენ, ამ ომს, თვით ხურსიძეებიც დიდათ თანა უგრძნობდენ და საიდუმლოდ დახმარებას აძლევდნენ. 33. გ.

— მაგას სახალხო თქმულება ცხადათ ამტკიცებს, აი როგორ?

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ გამოჩნდა ქრისტეს ჯვარი
ოთხიკუთხე სულ შეიძრა, თავი რუს ხელმწიფე არის.
მეფე ერეკლეს მოართვა სალამი და საჩუქარი.
ასრე მიყვარხარ ერეკლევ, როგორც ჩემი და და ძმანი.
შემწეობა თუ მოგინდეს აგერ ნახე ჩემი ჯარი.
მანც მადლობა მოახსენა. მეგობრობა შენი ვსცანი
ეს ფაშები მაწუხებენ. ლეკია და უნიჩარი.
პატარა ხანს მოიცადა, შეიყარა გურჯის ჯარი.
ადგა და ქართლი შემოვლო. გაამაგრა ტაშის კარი.
ხეობაზედ შემოწკიპა, აწყეერს მოვა წინა ჯარი
შემოადგა აწყვრის ციხეს. შეუშალა ცალი მხარი
ესროლა და ჩამოყარა ბედნებიდგან ბაირაღტარი.
ზეიდგან ტყვია წუწუნობს, ციხეში წყალი არარის.
ბაგალოი გამოვარდა, ყელ-ყური ჰქონდა დამწვარი.
იძახდა სულ გაგვიწყვიტა ლაშქარი, ღვთის რისხვა არის
ტოტლებინმან ულალატა, სხვას დაადვა თავის ბრალი
ზარბაზნები არ ახმარა, გაბრუნდა შურისგან მთვრალი.
მეფემ არაფრად ჩასთვალა, იმისთანა წუწკი, მყრალი.
აწყვერიდგან გარდავიდა, სპინძას მიმართა მწყრალი.
რაც აქ დაუკლდათ ლეკ-ოსმალთ, იქ შეუთავა ზარალი.
ბევრი მოწიფული ჰყავდა, ხელ ფეხით ყაფლან მარალი.

გავიდნე ხიდი აჰყარეს, გაჩნდა იქ ჰარალ-თარალი.
ვერ გაუგეს მეთვალყურეთ, არა ვინ იყო ჰალალი.
თათრებმან შემოუტიეს, სულ არ იცოდნენ ვარალი.
ვერც წინ დაუდგნენ ვერც უკან. გაუცუდდათ ჰალლა ჰალი
იშვირეს პირი, ხიდს ეცნენ, აყრილ იყო გასავალი.
პანტა-პუნტით წყალში ცვიოდნენ ქალ მაჰმადა და სარალი,
სალავათიც ვერ მოჰქონდათ გასტეხოდათ ისე თვალი.
ერეკლე ჩვენი ბატონი ასრე პატარა კახია.
ტანს რკინის პერანგი ეცვა, გაჰკრა ხელი და გახია.
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა ჰალალია და ჰახია.
ხრამი შეუკრეს, თვითანვე თავსა მოუდგეს მახეა.
იქ დახვდა კოხტა ბელადი, მას გავარდა ორივ თვალი.
ეს ერეკლე გაითხოვა, აგერ არის საბურთალი.
ნეტა თქო როგორ შებედა, როგორ გაუმართა თვალი.
ორნივ ცხენ და ცხენ შეიბნე მწვე და თამამ და მურდალი.
ზედ შევარდა მოურიდლად, ვაი მისი ბედის ბრალი.
რომ თვითონაც ვერ შეიტყო, გადავარდა ლეკი მყრალი.
მოდით ბიჭებო გავიყოთ, ოქრო, მარგალიტი თვალი,
ფარის ანგარიშს ვინ იზამს სულ ზოლათაა ახალი.
ერეკლემ არ მოიშალა ის თავის მუცლის ჩხვერაო
ადგა და წინ წამოუძღვა, მთვარე არიდგა ბნელაო.
ხერთვისის ხიდსა შემოსდგა, თოფსა არ გააქვს ძგერაო.
თათრებმა თავი დაუკრეს. წინ ვერ დაუდგნენ ვერაო.
ხანუმებმან გარეშმოხედეს, პირზედ გადაჰკრათ ფერმაო
ვაი თუ ჩვენ დაგვიმძვირდეს, ამ სარაიდგან ცქერაო!
შენ ერეკლე ჰოქმიანო, ცხენ მალალ უნაგრიანო.
შენი ნახოცი ლეკები, ასპინძის ბოლოს ყრიანო
ყვავი ყორანი ლეშსა სჭამს, კაჭკაჭნი თვალებს თხრიანო.
ვაი იმათ გაჩენასა, რა გონჯ ალაგას ჰყრიანო.

სხვათა შორის ამ ასპინძის ომში დაიხოცნენ იასე და სეხნია გვარამაძენი, მარხიან საფარის მონასტერში. 19. ყველა ამ უბედურ საქმეებს ახალციხის და ჯავახეთის ქართველნი

მწუხარებით უმზერდნენ, 1770 წლ. შემდეგ. ხურსიძეების გვარის ზოგიერთ წევრთა სამრეწველო საქმეს მოჰკიდეს ხელი და მის მეოხებით ქართლსა და იმერეთშიაც იწყეს მოგზავრობა. 62 გვერდი.

— ლეკი ფაშის მოსვლის შემდგომ ჩამოცლილი ჰქონდათ ყოველი მამულები, არყის ციხის მიწაცა, მარტო საძელის ყანები დარჩენოდათ, ამას ამტკიცებს მათი სამარხი სასაფლაონი რომ ჩვენ დრომდის მოაწიეს, 1853 ამდის იყვნენ, შემდგომ აზრუმიდგან გადმოსახლებულ საძელმა სომხებმან დრო იპოვეს და მთელი კათოლიკეთ სასაფლაოს ქვეები და მასთან ისარლოების სასაფლაოს ქვეებისა დალეწეს, დაამტვრიეს და გააუჩინარეს. თავიანთ ეკკლესიის გაახლებას მოახმარეს, თუ რა ჰქმნეს კაცმან არიცის. ღღეს არყის ციხის მიწაზედ 7 მოსახლე სომეხ კათოლიკე სცხოვრობს და რამდენიმეც სომეხ გრიგოიანი, ორ კერძოდ გაყოფილი აქვთ მისი მიწა თანასწორედ. ეს იყო მიზეზი რომ ახალციხითგან გაშორდნენ და ნელნელა აჰყარეს ხელი იქავრობას და გამოესალმნენ ერთიან. ის ეროი მწევრიც რომ დარჩენილა ოსმალოების სამსახურში მასაც თავისი გზა აქვს, ვინიცის რა გარემოებისგან, იქმნებაც არ იყო გარეული იმ შეთქმულ შეფიცულებთან!

20. ზემოდ ხსენებულთ ქართველ კათოლიკე ხურსიძეების შთამამავალს ახალციხეს საკმარისი ხმა და გავლენა ჰქონიათ და იგინი ყოველთვის წარჩინებული პირებათ ყოფილან მიღებულნი. 63. გ.

— სწორედ მართალი არის. აი რას ჰსწერს რომში პროპაგანდას ფირალათ ანტონ მღვდელი: „ყოვლად საყვარელო მამაო. დიდათ პატივ ცემულმა უმფროსმა პატრმა, ლუიჯი პრაგელმან საჭიროდ დაინახა და გამოგზავნა მანა სამი ყმაწვილი ურბანოს კოლეგიის მოწაფებად, სამივე ჩინებული და ძლიერ კარგი თვისებისაა, მეტადრე ყმაწვილი გრიგოლ კრუხი ჭამიანთი (ბატონჯანის შვილი), ამ ქალაქის საუკეთესო შვილია, სახლში ისეა აღზრდილი, როგორც უმანკო მტრედი, იმ თავი-

თვე სასულიერო სამსახურისადმი მოწოდება ეტყობოდა. თამარ. ისტორია 437. გ. გარდა ამისა ეკლესიის სინდიკებათ ხშირად კრუხიჭამია შვილები იყვნენ სხვა და სხვა დროს, აგერ ერთიცა: " მე კრუხიქამიანთ პეტროსა ირიცფოხანი წა. ივ. ნათ. მცემლის ეკკლესიისა ვამტკიცებ ამ წერილსა ჩემის ბეჭდითა, 1767. წ. იქვე. 440. გ. ასრევე საეკკლესიო შეწირულებაშიც პირველი ადგილი უჭირავთ. მაგალ. ღმერთმან შეიწყალოს კრუხიჭამიათ ერეცფოხანი პეტროსაი და მისი მეუღლე პარუნაი, რომელთ შესწირეს იმ წირვის პერანგი და 1 ვერცხლის ბარძიმი. — ღმერთმან შეიწყალოს სერაპეტაანთ პეტროსაი, პატარა სიმონას ძმა ქაიხოსრო, მაქანდრიანთ ბატონჯანა, კრუხიჭამიათ პეტროსას შვილი ოსება და დვირელი იოანე, რომელთა შესწირეს 1. ვერცხლის ჯვარი, — ღმერთმან შეიწყალოს კრუხიჭამიანთ რძალი მაგდალინა, რომელმან შესწირა წმიდა იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიას ასი ყურუში. სხვაც მრავალი ამისთანა.

აქამდის ვსცან საჭიროდ, სხვა ცნობებს აღარ შევეხები, რომ შორს წავა თვითოეულად გარკვევა, რაც მოგახსენეთ ისიც მოკლეთ-გაკვრით შინაურულად და არა მეცნიერულათ. მხოლოდ დამრჩა ჭულების ეკკლესია და მას ზედაც მოგახსენებთ ცოტა რამეს. 21. ჭულების ტაძარი ადუგენის ახლო სძევს, როგორც ვიცით ადუგენის მებატონენი იყვნენ ხურსიძეები, ეს ჭულების ტაძარიც მათ მეგვარე ხურსიძეთა წინაპრებს გაუკეთებიათ, ეს ტაძარიც შესანიშნავია თავის დროის კვალად, ამ ტაძრის ისტორიასთან დაკავშირებულია ადუგენის მცხოვრებთ მებატონე ხურსიძეების გვარის ისტორიაც XIV საუკუნის ნახევარს იგი განუახლებიათ, რასაც მოწმობს ტაძარის შემდეგი წარწერა ხუცურად:

„შეწევნითა ღვთისათა და წმიდისა გიორგი ჭულაისათა, სრულ იქმნა ესე ეკკლესია ჭულისა ხატებითა მხატვრისა არსენა თბილელისა შეუნდოს ღმერთმან ქს. ჲია".

— ადიგვენი უნდა იყოს და არა ადუგენი. ეს ტაძარი

უფრო შესანიშნია იმით, რომ მარჯვნივ დახატულ არიან წმიდა მამამთავრნი შვიდთა მსოფლიო კრებათა და მარცხნივ მთელი ერეტიკოსები და მათთან ფოტ პატრიარხიცა, ოომელიც განიკვეთა და შეჩვენებულ იქმნა მე VII. მსოფლიო წა. კრებაში. იქარის მიქაელ კელურალიოცა, მარჯვნივ მრგვლივ მთელ წრეზედ აწერია დიდვრიანი ასოებითა: „მოვედით კურთხეულთა მამისა ჩემისათა და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამიდგან სოფლასათ, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი. მწყუროდა და მასვით მე. უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე. შიშველი ვიყავ და შემმოსეთ მე. სნეულ ვიყავი და მომხედეთ მე. საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა! მარცხნივ ამის წინაღმდეგი აწერია მთელ წრეზედა:“ წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არის ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის და სხვაც სრულად. ამნაირად მრავალ თავად აზნაურთა სიგლებზედაც ხმარებულა საფიცრად შვიდი კრება, როგორც რკონისა და წულიკიძეების სიგელზედა, რითაც აღიარებულია კათოლიკე სარწმუნოება და არავინ აქცევს ამას ჯეროვან ყურადღებას!.. ამ ეკკლესიის დახატვა მოხდენილია 1372. წ, როცა თბილისში ლატინის რომის კათოლიკე ეპისკოპოზნი ისხდნენ ქართველ კათოლიკეთ მორწმუნეთ ამწვსიდნენ თავიანთ მადლიანის მცველ მფარველობითა. მთელ საქართველო სამეხეთოში. მხატვარი არსენაც მათგან გამოგზავნილი უნდა იყოს თბილისიდგან ხურსიძების თუ ადგილობრივ კათოლიკების თხოვნითა.

ხოჯევანათ მისიონერი ივ. მღ. დღიურითგან

კრუხიჭამიათ ლუკა და ასლანა ქალაქიდგან ქუთისს მოვიდნენ. 1772 წ. 15 იანვარსა.

კრუხიჭამიათ ლუკა ქუთაისს მოვიდა 1774 წ. 2 მარიობისა.

კრუხიჭამიათ ლუკამ, სიმონა და მნაცაკანას შვილი ქალაქს წავიდნენ, 20 გიორგობ.

კრუხიჭამიათ ლუკა და სიმონი ქუთაისს მოვიდნენ, 1776 წ. 12 თებერ.

კრუხიჭამიათ ლუკა და ქაიხოსრო მეფე ერეკლის სიძეს გაჰყვნენ ქართლსა 5 მარტს.

კრუხიჭამიათ სტეფანე მოვიდა 1777 წ. ქ. ქუთაისსა.

კრუხიჭამიათ ტერგრიგოლს პროვიქაროობა მოუვიდა (უმფროსობა) 1779 წ.

კრუხიჭამიათ ბატონჯანა მიიცვალა 1784 წ. 25 ღვნ.

1786 წ. 4 თებ. კრუხიჭამიათ ტერგრიგორი მიიცვალა.

კრუხიჭამიათ იოსებასთან ლაპარაკი მომიხდა, მესამე დღეს შევრიგდით 1791 წ. 13 აპრ.

კრუხიჭამიათ იოსებას ბაზასტანში დუქანი გაუტეხეს 1792 წ. 9 მარიობ.

კრუხიჭამიათ იოსები იმერეთს წავიდა. ამავ წ. 29 ღვნ.

კრუხიჭამიათ ბატონჯანამ ქორწილი ჰქმნა ტერსააკის ქალზედა 14 დეკ. 1796 წ.

კრუხიჭამიათ ბატონჯანა იმერეთს წავიდა 1779 წ. 18 მარტს.

1799 წ. 11 იანვარს სელიმ აღის ბრძანებით კრუხიჭამიათ ლუკას ქალის ნიშანი აკურთხეს ალექსანდრეთ მოქალაქე ხუცებმან.

კრუხიჭამიათ ლუკას ქალი იმერეთს წაიყვანეს 22 თებ.

კრუხათ პარუნ იაკობი მოვიდა ამავ წელს 16 მკათათ.

კრუხიჭამიათ იოსები ერეცფოხნათ დავაყენეთ.

კრუხათ იოსები ამეშალა საყდრის კარზედ, მეორე დღეს შევრიგდით, 1800 წ. 18 აპრილს.